

დადგენილება № ცვ-1047-23
გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის
დადების შესახებ

ქ. ქუთაისი,

2 ნოემბერი, 2023 წ.

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): სს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი კომისიის თავმჯდომარე ტარიელ შვანგირაძე.

2. საქმის განხილვის თარიღი: 2023 წლი 2 ნოემბერი.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი ლუკა აბზიანიძე, პირადი № 37001004882, დაბ. 1961 წლის 12 ივნისს, მის. ქ. სამტრედია, ნიკო ნიკოლაძის ქ. № 4, ფაქტ. მის. ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა ჯიხაიში, ტელ.: 511 14 83 17.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

2023 წლის 18 ოქტომბერს, ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ჯიხაიში, აბონენტ ოლია აბზიანიძის აღრიცხვის კვანძის შემოწმებისას დაფიქსირდა ელექტროენერგიის უკანონო მოხმარება. კერძოდ, აბონენტს 5 ოქტომბერს დავალიანების გამო შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, რა დროსაც მრიცხველის ჩვენება იყო 481, ხოლო 18 ოქტომბერს გადამოწმების დროს მრიცხველი აღნიშნულ მისამართზე მცხოვრები ლუკა აბზიანიძის მიერ ჩართული იყო თვითნებურად და დაფიქსირდა წინწაწეული ჩვენება 485, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა. აბონენტს იმავე დღეს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება დავალიანების სრულად დაფარვამდე. ლუკა აბზიანიძის მიმართ 27.10.2023წ. შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას № 009719 ოქმს ხელს აწერს სამართალდამრღვევი; იგი აღიარებს სამართალდარღვევის ფაქტის არსებობას და განმარტავს, რომ ხშირად არის საცხოვრებელი ადგილიდან გასული. დაბრუნებისას აღმოაჩინა, რომ ელექტროენერგია იყო გათიშული და აუცილებელი საჭიროების გამო მოახდინა მისი ჩართვა, რაც მომავალში არ განმეორდება. საქმის განხილვაზე სამართალდამრღვევი არ გამოცხადდა. ლუკა აბზიანიძე არ არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით. საქმეში ასევე წარმოდგენილია 27.10.2023წ. აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების აქტი № A1205692 და სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ფოტოსურათი, რომლებითაც დასტურდება ლუკა აბზიანიძის მიერ ელექტროენერგიის მოხმარება აღრიცხვის წესების დარღვევით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც დგინდება სამართალდარღვევის არსებობა/არ არსებობა, თუ პირის ბრალეულობა მის ჩადენაში. განსახილველ შემთხვევაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი (სამართალდარღვევის ოქმი, აღრიცხვის კვანძის შემოწმება-მიღების

სს "ენერგო-პრო ჯორჯია"

აქტი, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, აბონენტის ბარათი, სამართალდარღვევის ფაქტის ამსახველი ფოტოსურათი), რომელთა მეშვეობით დგინდება ლუკა აბზიანიძის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი-ელექტროენერჯის მოხმარება აღრიცხვის წესების დარღვევით. ამასთან, დაცულია იმავე კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების სამთვიანი ვადა და 240-ე და 252-ე მუხლების პირველი ნაწილებით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წესი, რომლის დროსაც ლუკა აბზიანიძეს განემარტა მისი უფლება-მოვალეობები, მან მისცა ახსნა-განმარტება, გაეცნო ოქმის შინაარსს და ჩაიბარა მისი ასლი.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-10, 38-ე, 228²-ე, 236-ე მუხლებით, სემეკის 28.06.2021 წ. №19 დადგენილებების 33-ე მუხლით, 12.08.2010 წ. №14 დადგენილებით, ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის 29.06.2022 წ. EPG RU №2022007 წესით და ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის 10.10.2022 წ. EPG OR № 2022037 ბრძანებით,

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფიზიკური პირი ლუკა აბზიანიძე, პირადი № 37001004882, ცნობილი იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაედოს ადმინისტრაციული სახდელი - გაფრთხილება.

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით.

8. სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის საკითხი: _____

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მის. ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:



ტარიელ შვანგირაძე,
კომისიის თავმჯდომარე